



ტელევიზიებისა და ინტერნეტგამოცემების გაშუქების ტენდენციები

ყარაბაღის კონფლიქტი

ავტორები: გიორგი დიასამიძე, გიორგი კიკაბიძე

30 მაისი, 2016



იქვილი

მეასტრო



პირველი არხი

netgazeti.ge



IP1 ინფორმაციული



ყარაბაღის კონფლიქტი

ამერბაიჯანსა და სომხეთის შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი 1988 წელს დაიწყო. ბაქო მიიჩნევს, რომ მთიანი ყარაბაღი და შვიდი მიმდებარე რაიონი, ამერბაიჯანის 20%, სომხეთის შეიარაღებული ძალების ოკუპაციაშია, რასაც კატეგორიულად უარყოფს ერევანი. 1994 წელს მხარეებმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს, მაგრამ დღემდე წარუმატებლად მიიჩნევა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით წარმოებული მოლაპარაკებები ამ ორ ქვეყანას შორის. ორივე მხარე გამუდმებით ერთმანეთს ადანაშაულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეჟიმის დარღვევაში.

2016 წლის 2 აპრილს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებები გააქტიურდა. გაეროს ოფიციალური მონაცემებით, მთიან ყარაბაღში 2 და 3 აპრილს სულ მცირე 33 ადამიანი დაიღუპა და 200 დაშავდა. გაეროს ინფორმაციით, საომარი მოქმედებები მთიანი ყარაბაღის დასახლებულ პუნქტებში – აგდენრში, მარტუნსა და გადრუთში მიმდინარეობდა, სადაც 14,4 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებები 2016 წლის 8 აპრილს შეწყდა. მხარეებმა აღნიშნული გადაწყვეტილება ცხედრების გამოგანის მიზეზით ახსნეს.

- **თემის აქტუალობა**

მთიანი ყარაბაღის მიმდინარე კონფლიქტი საქართველოსაც ეხება, რადგან საომარი მოქმედებების გაღვივების შემთხვევაში, ქართველი პოლიტიკოსების მიერ არჩეული ნეიტრალიტეტის მიუხედავად, ეს მაინც ნეგატიურად აისახება. ეს კონფლიქტი ავირჩიეთ იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფოს პოზიცია ამ საკითხისადმი არის მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება გამოვიკვლიოთ როგორ აშუქებს მედიასაშუალებები ამ ამბავს. საინტერესოა ქართულ ტელევიზიებსა და ინტერნეტგამოცემებში შეინიშნებოდა თუ არა მიკერძოებულობა კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიმართ.

საქართველოში ცხოვრობს სომხური და ამერბაიჯანული უმცირესობები, რომელთაც ამ კონფლიქტის ყველა ლეგალი განსაკუთრებულად აინტერესებს. მათ ასევე აინტერესებთ ქართული მედიის პოზიციები, თუკი არსებობს ასეთი, რომელიც მათ განწყობებზე სავარაუდოდ ისახება.

საინტერესოა, ჩნდება თუ არა შეკითხვები მოსახლეობის მხრიდან ქართული საინფორმაციოების მიერ მომზადებულ მასალებზე.

- **ჰიპოთეზა**

ქართული ტელევიზიები და ინტერნეტგამოცემები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მაყურებელსა და მკითხველს არც თუ ისე ხშირად აწვდიან ინფორმაციას ამ კონფლიქტების შესახებ. ყარაბაღის კონფლიქტის გაშუქება ქართული მედიის მხრიდან საინტერესოა, რადგან რეგიონში უსაფრთხოების საკითხი თავისთავად ეხება საქართველოსაც.

მკითხველი და მაყურებელი იღებს ზედაპირულ ინფორმაციას, როგორც ტელეარხებიდან, ისე ინტერნეტგამოცემებიდან. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაშუქებისას მათ აკლიათ ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებები და კომენტარები. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი უკვე მეორე თვეა მიმდინარეობს, ქართულ მედიაში ჯერ არ გახსნილა დისკუსია რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ზოგიერთი მედია საშუალების მხრიდან იგრძნობა ტენდენციური გაშუქება ყარაბაღის კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის.

ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი არ არის გარკვეული, თუ როგორი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს საქართველოს. ქართული ტელევიზიები და ინტერნეტგამოცემები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ გვთავაზობენ დამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრებებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ. კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენები შექცევა იმპულსურად, რაც მკითხველსა და მაყურებელს ვერ უქმნის რეალურ სურათს, თუ რა ხდება უშუალოდ მთიან ყარაბაღში.

კვლევის მეთოდოლოგია

ყარაბაღის კონფლიქტი

- **კონტენტ-ანალიზი**

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე ჩავატარებთ კონტენტ ანალიზს შემდეგ ტელევიზიებზე: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, ტელემედი, მაესტრო. ინტერნეტგამოცემები: ნეტგაზეთი, ლიბერალი, ტაბულა, ინტერპრესნიუსი, ლაივპრესი. ამ კვლევით გავიგებთ რა სიხშირით აშუქებენ

ტელევიზიები და ინტერნეტგამოცემები ყარაბაღის კონფლიქტს; დავითელით რამდენი სიუჟეტი, გადაცემა გავიდა ეთერში და რამდენი პუბლიკაცია გამოქვეყნდა; რაზე გაამახვილეს ყურადღება და რა აქცენტები დასვეს ჟურნალისტებმა; საბოლოოდ, რამდენი დრო დაუთმეს ამ კონფლიქტის გაშუქებას.

- **თვისებრივი კვლევა**

- ❖ ჩვენ ჩავწერთ სიღრმისეულ ინტერვიუსს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ და სომეხ სტუდენტებთან. ასევე, ჩავწერთ სიღრმისეულ ინტერვიუსს მედიაექსპერტთან.

- **რაოდენობრივი კვლევა**

- ❖ გაინტერესებთ თუ არა მთიან ყარაბაღში მიმდინარე კონფლიქტი?
- ❖ რომელი ტელევიზიიდან და ინტერნეტგამოცემიდან იღებთ ობიექტურ, დაბალანსებულ და დროულ ინფორმაციას კონფლიქტის შესახებ?
- ❖ რა სიხშირით აშუქებს ქართული ტელევიზიები და ინტერნეტგამოცემები ყარაბაღის კონფლიქტს?
- ❖ რომელ ტელევიზიებსა და ინტერნეტგამოცემებში შეინიშნებოდა დადებითი შეფასებები ყარაბაღის კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ?
- ❖ რომელ ტელევიზიებსა და ინტერნეტგამოცემებში შეინიშნებოდა სიღრმისეული გაშუქება ყარაბაღის კონფლიქტზე? (პოლიტოლოგების, ექსპერტების და საგარეო ურთიერთობების სპეციალისტების მონაწილეობით.)
- ❖ რომელი ტელევიზიის სიუჟეტი/რეპორტაჟი დაგამახსოვრდათ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე?
- ❖ რომელი ინტერნეტგამოცემის პუბლიკაცია დაგამახსოვრდათ ყარაბაღის კონფლიქტზე?
- ❖ რომელ ტელევიზიებში და ინტერნეტგამოცემებში ჩანდნენ კონფლიქტში დაზარალებული ადამიანები?
- ❖ რომელ ტელევიზიას/ინტერნეტგამოცემას ჰყავდა რეპორტიორი უშუალოდ კონფლიქტის მონაში?
- ❖ რა კითხვები გრჩებათ პასუხგაუცემელი ტელევიზიებიდან და ინტერნეტგამოცემებიდან ყარაბაღში მიმდინარე კონფლიქტზე?

გელევიზიებისა და ინტერნეტგამოცემების კონტენტ-ანალიზი

2 აპრილი (შაბათი)	სალამოს გამოშვება	ქრონომეტრაჟი
 რუსთავი 2	 კურიერი	21:30
 ივლი	 ქრონიკის სტუდია	3:31

	 კონტაქტი	2:33
	 მოამბე	5:06

რუსთავი 2

რუსთავი 2 ის მთავარი საინფორმაციო გამოშვება 21:00 დაიწყო ყარაბაღის კონფლიქტით. ტელეკომპანიას კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს ჰყავდა თავისი რეპორტიორები, რომლებიც გადაცემის მსვლელობისას პირდაპირ ეთერში ჩაერვთნენ. პირველი ნაწილი დაეთმო სიუჟეტს, თუ რა ხდებოდა კონფლიქტის ბონაში, ხოლო წამყვანმა მეორე თემა დაანონსა: მოსალოდნელია თუ არა თურქეთის და რუსეთის ჩართულობა ყარაბაღის კონფლიქტში და როგორ უნდა მოიქცეს საქართველო.

კურიერი დაეყრდნო მხოლოდ აზერბაიჯანულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც „აზერბაიჯანმა წინ წაიწია და რამდენიმე სოფელი გაათავისუფლა“. წამყვანმა წყაროს მითითების გარეშე განაცხადა, რომ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს სომხეთი საჰაერო იერიშს ამზადებს.

საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის საზღვრებიდან რუსთავი 2-ის ჟურნალისტების ჩართვის შემდეგ, კურიერის სტუდიიდან ჩაერთო კიდევ ერთი ჟურნალისტი, რომელიც ყვებოდა თუ რა ხდებოდა კონფლიქტის დამეს. ჩართვის ბოლოს მან მაყურებელს კონფლიქტის ისტორია შეახსენა.

წამყვანმა ინფორმაცია შესთავაზა აუდიტორიას, იმის შესახებ თუ რა საფრთხის წინაშე დადგება საქართველო კონფლიქტში რუსეთის და თურქეთის ჩართვის შემთხვევაში. წამყვანის ციგაგა - „თქვენ უკვე კარგად ხედავთ, როგორი სახიფათო ქარიშხლის ქვეშ მოექცევა საქართველო, თუ კონფლიქტში რუსეთი და თურქეთიც ჩაერთვებიან“.

შემდეგ სტუდიიდან ჩაერთო ჟურნალისტი, მან პოლიტიკოსების პოზიციები გააცნო მაყურებელს.

პირდაპირ ეთერში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა ელენე ხომცარიამ ისაუბრა საქართველოს როლზე ყარაბაღის კონფლიქტში. (ქრონომეტრაჟი - 7:50 წთ). ჯამში შაბათის კურიერმა ყარაბაღის კონფლიქტს დაუთმო 21:30 წთ

იმელი

რუსთავი 2-ისგან განსხვავებით, იმელის გადაცემა „ქრონიკის სტუდიაში“ მთავარი თემა იყო ქართულ ოცნებაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, თუმცა წამყვანმა გადაცემის დასაწყისში ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ ამცნო მაყურებელს. მათ არ ჰქონიათ დაზარალებული ადამიანების სინქრონები.

რუსთავი 2-სგან განსხვავებით იმელის ეთერში გაქდერდა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაცია სომხეთსა და აზერბაიჯანს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. რუსთავი 2-ის მსგავსად, ქრონიკამაც გაავრცელა ინფორმაცია, რომ სომხეთი საჰაერო იერიშს ამზადებს, თუმცა ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროდ მოყვანილი ჰქონდათ BBC, რაც კურიერის შემთხვევასი ვერ ვიპოვეთ. ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ წამყვანმა 3-ჯერ ისაუბრა გადაცემის დასაწყისში, შუაში და გადაცემის მიწურულს. (ქრონომეტრაჟი 3:31)

მაესტრო

მაესტროს საღამოს საინფორმაციო გამოშვების მთავარი თემა ყარაბაღის კონფლიქტს მიეძღვნა. კონფლიქტის შესახებ პირველი ცნობა მაესტროზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იყო, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაცია სომხეთსა და აზერბაიჯანს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებით, კონტაქტს ჰქონდა სომხეთის თავდაცვის სამინისტროს სპიკერის „სინქრონი“. სიუჟეტში წარმოდგენილი იყო კონფლიქტში მონაწილე მხარეების პოზიციები. რუსთავი 2-ის მსგავსად, მაესტროს სიუჟეტის ბოლო ნაწილი ყარაბაღის კონფლიქტის ისტორიას დაეთმო. მათ ასევე ჰქონდათ მთიანი ყარაბაღის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველის „სინქრონი“. სიუჟეტის ბოლოს მაესტრომ კიდევ ერთხელ გააცნო მაყურებელს რუსეთის პრემიერის განცხადება, რომელიც კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

ყარაბაღის კონფლიქტი მთავარი თემა იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის 2 აპრილის მთამბეშიც. პირველმა არხმა მაყურებელს ეუთოს, რუსეთის და ევროკავშირის პოზიცია გააცნო. მთამბე ავრცელებდა როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის მედიით გავრცელებულ ინფორმაციებს

დალუპულებისა და დაშავებულების შესახებ. მათ, ასევე, ჰქონდათ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს მყოფი პოლიტიკოსების კომენტარები. როგორც რუსთავი 2-სა და მანსტროს, სამზავუს სიუჟეტის ბოლოს, ასევე, ჰქონდა ყარაბაღის კონფლიქტის მოკლე ისტორია.

მოამბეს მეორე თემად ჰქონდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფაქტორი საქართველოზე. პირველმა არხმა მაყურებელს ქართველი სამხედრო ექსპერტების მოსაზრებები გააცნო. სამოგადლოებრივმა მაუწყებელმა ყარაბაღის კონფლიქტს ჯამში 5:06 წუთი დაუთმო.

3 აპრილი (კვირა)	სალამოს გამოშვება	ქრონომეტრაჟი
 რუსთავი 2	 P.S.	12:32
 იმედი	 იმედის დრო	13:00
 მანსტრო	 კონტაქტი	7:20
 კავკასი არსი	 მოამბე კვირას	11:38

რუსთავი 2

რუსთავი 2-ის კვირის მთავარი საინფორმაციო გამოშვების მთავარი თემა კვლავ ყარაბაღის კონფლიქტი იყო. P.S.-ის ჟურნალისგმა მაყურებელს ინფორმაცია სომხეთიდან გადმოსცა. რუსთავი 2-მა კონფლიქტის ზონაში გადაღებული კადრები აჩვენა და აღწერა დაცარიელებული სოფელი. მათ ასევე ჰყავდათ ჩაწერილი სომეხი მოქალაქეები. P.S.-მა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა

სომხეთში რუსი ჟურნალისტების აქტიურობაზე. რუსთავი 2-ის კიდევ ერთი ჟურნალისტი უკვე ამერბაიჯანიდან ჩაერთო. როგორც სომხეთში, ასევე ამერბაიჯანში მათ ჰყავდათ ჩაწერილი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოქალაქეები. P.S.-ში ყარაბაღის კონფლიქტზე გავიდა სპეციალური სიუჟეტი, სადაც ორივე ქვეყნის პოზიცია იყო გაშუქებული.

იმედი

ყარაბაღის კონფლიქტი იყო იმედის დროს მთავარი თემა. იმედმა, სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებით, მოახერხა ამერბაიჯანელი დეკუტატისა და სომეხი პოლიტოლოგის ჩაწერა სკაიპში. წამყვანი პირდაპირ ეთერში ცდილობდა კონფლიქტის ზონაში მომუშავე ამერბაიჯანელ ჟურნალისტთან სატელეფონო ინტერვიუს ჩაწერეას, რაც საბოლოოდ ვერ მოახერხეს. გამოშვების მსვლელობისას საქართველო-სომხეთის სამღვრიდან პირდაპირ ეთერში ჩაერთო იმედის ჟურნალისტი. მათ აჩვენებს კონფლიქტის ზონაში მღებარე სოფლების კადრები და ამერბაიჯანელი მოქალაქეების კომენტარები. იმედმა მაყურებელს ამერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის და საქართველოს პირველი პირების განცხადებები გააცნო.

მაესტრო

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი იყო მაესტროს მთავარი თემა, თუმცა სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებით, მათ არ ჰყოლიათ რეპორტიორი კონფლიქტში მონაწილე ქვეყნებში. მათ კონფლიქტი თემა სამ ნაწილად ჰქონდათ გაყოფილი: 1. კონფლიქტის შესახებ ახლი ამბები და პირველი პირების განცხადებები, 2. საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გამართული შეხვედრა ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ, 3. ექსპერტები კონფლიქტის შესახებ, თუ რამდენად ეხება ეს საკითხი საქართველოს. ჯამში, სამივე ნაწილს დაეთმო 7:20 წუთი.

სამოგადოებრივი მაუწყებელი

ყარაბაღის კონფლიქტის მეორე დღეს, ეს საკითხი არ ყოფილა სამოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი თემა. გამოშვების პირველ ნაწილში ყარაბაღის კონფლიქტს მიეძღვნა ერთი სიუჟეტი, რომელშიც მათ აჩვენეს ჰელსინკის სამოქალაქო ანსამბლეს კომიტეტის ხელმძღვანელის პოზიცია. სიუჟეტი აგებული იყო სომხური და ამერბაიჯანული მედიით გავრცელებულ ცნობებზე დაყრდნობით. სიუჟეტში ასევე ნაჩვენებია იყო საერთაშორისო დიპლომატების რეკომენდაციები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. სიუჟეტის ბოლოს ყარაბაღის კონფლიქტზე „მოამბის“ კითხვებს პირდაპირ ეთერში „სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრის“ დირექტორმა, მიხეილ მირზიაშვილმა უპასუხა. ინტერვიუ გაგრძელდა 8:05 წთ. ჯამში ყარაბაღის კონფლიქტს მიეძღვნა 11:38 წთ.

4 აპრილი (ორშაბათი)	საღამოს გამოშვება	ქრონომეტრაჟი
 რუსთავი 2	 კურიერი	11:07
 იმედი	 ქრონიკა	9:04
 მაესტრო	 კონტაქტი	8:00
 პირველი არსი	 მოამბე	6:06

რუსთავი 2

ყარაბაღის კონფლიქტიდან 3 დღის შემდეგ 4 აპრილის კურიერის მთავარი თემა იყო „დაშლილი კოალიცია“, თუმცა მათ გადაცემის პირველ ნაწილში დრო დაუთმეს ამ კონფლიქტს. კურიერის ჟურნალისტები კვლავ კონფლიქტის მონაში იმყოფებოდნენ და იქიდან აწვდიდნენ მაყურებელს ინფორმაციას. პირველი ჟურნალისტი უშუალოდ ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის დედაქალაქიდან ჩაერთო, წამყვანმა თქვა რომ ეს იყო პირდაპირი ეთერი, თუმცა ჩართვაში არ იყო მითითებული ლაივის ნიშანი. ყარაბაღის ქალაქ მარტაკეტიდან ჟურნალისტმა ჩაწერა მოსახლეობა და მათი პოზიციები იყო სიუჟეტში, ასევე ოპერატორმა გადაიღო კადრები, სადაც ჩანდა საბრძოლო მოქმედებები. უპილოტო საფრენი აპარატის კადრები გადაღება მოახერხა ოპერატორმა და ჟურნალისტმა ეს Stand up-ის საშუალებით მოუყვა საზოგადოებას. ამ ნაწილში ეთერის მთავარი გმირები იყვნენ ადამიანები.

ფრონტის მეორე ხაზზე გერგერის რაიონიდან კურიერის მეორე ჟურნალისტი ჩაერთო, სადაც ამერბაიჯანელები ცხოვრობენ. არც ამ ნაწილში ჩანდა ლაივის ნიშანი. ჩართვის ამ ნაწილში, რამდენიმე სოფელში მცხოვრები ადამიანების მოსაზრებები ჩანდა ძირითადად. ჟურნალისტმა Stand up-ის საშუალებით ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით, აჩვენა პირველი საცხოვრებელი სახლი,

სადაც პირველი ნაღმი ჩამოვარდა. ჟურნალისგმა ასევე მოახერხა საავადმყოფოში გადაყვანილი ადამიანის ჩაწერა. ამერბაიჯანის მხრიდან ეთერის ამ ნაწილშიც მთავარი გმირები იყვნენ ადგილობრივი ადამიანები. ჯამში ყარაბაღის კონფლიქტს დაეთმო 11:07 წთ.

იმელი

4 აპრილს ქრონიკის მთავარი თემა იყო კოალიციის დაგეგმილი ყრილობა და საკანონმდებლო ინიციატივა. ყარაბაღის კონფლიქტი გამოშვებაში იყო მესამე სიუჟეტად და ძირითადად პოლიტიკური პირების განცხადებები აჩვენეს. სიუჟეტში აჩვენეს საქართველოს როლი ამ კონფლიქტში, პრემიერის განცხადება და საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის „სინქრონები“ გააშუქა ქრონიკამ. მათ ასევე ეთერი დაუთმეს ექსპერტებს და პოლიტოლოგებს, სიუჟეტში ჩანდა საქართველოში სომხეთისა და ამერბაიჯანის ელჩების მოსაზრებები. გელეკომპანია იმელს 4 აპრილის ჩათვლით არ ჰყავდა რეპორტიორი კონფლიქტის ზონაში. ჯამში ქრონიკამ ამ კონფლიქტს დაუთმო 9:04 წთ.

მაესგრო

“კონტაქტში” ყარაბაღის კონფლიქტი არ ყოფილა მთავარი თემა. ამის შესახებ მომზადებული სიუჟეტი მეორე თემად გაშუქდა. სიუჟეტში ნაჩვენებია იყო სომეხი პოლიტიკოსის, სომხეთის პრემიერის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლიგვისა და ბელორუსის ლიდერების კომენტარები. ასევე, გაშუქდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოზიცია, რომელიც არაღიარებულ მთიან ყარაბაღს პოლიტიკურ დახმარებას სთავაზობს. სიუჟეტში არ იყო კონფლიქტში მონაწილე მეორე მხარის, ამერბაიჯანის პოზიცია დაფიქსირებული. სიუჟეტში ოფიციალური ბაქოს მხრიდან მხოლოდ ის ითქვა, რომ ისინი მათზე წაყენებულ ბრალდებებს არ აღიარებენ. სიუჟეტის ბოლოს ევროსაბჭოს ასამბლეის პრემიერის კომენტარი ვიხილეთ, რომელიც მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისკენ მოუწოდებს. წყაროს მითითების გარეშე, სიუჟეტის ბოლოს ყურადღება გამახვილდა მსხვერპლის რაოდენობაზე.

სიუჟეტის მერე, ყარაბაღის კონფლიქტის ქართულ ჭრილზე გამახვილდა ყურადღება - რამდენად შეიძლება, ყარაბაღის კონფლიქტი საქართველოსაც შეეხოს. მაესგროზე გაშუქდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარები, რომლებიც სომხეთისა და ამერბაიჯანს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ მოუწოდებენ. პოლიტიკოსების კომენტარების შემდეგ, კონტაქტმა მაყურებელს ექსპერტების მოსაზრებები გააცნო იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს ყარაბაღის კონფლიქტი რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში. ქართველი ექსპერტების შემდეგ, რუსი პოლიტოლოგებისა და დეპუტატების პოზიციები გააშუქა, რომლებიც ყარაბაღის კონფლიქტის სავარაუდო მიზეზად აშშ-ის ქმედებებს ასახელებდნენ.

სამოგადოებრივი მაუწყებელი

4 აპრილის სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებით, მოამბის მთავარი თემა იყო ყარაბაღის კონფლიქტი. სიუჟეტის დასაწყისში სომხეთის პრემიერის განცხადება გაქვრდა, ასევე გაშუქდა აზერბაიჯანის მთავარი მოთხოვნები. სიუჟეტში წარმოჩენილი იყო რუსეთის პოზიციები. ჟურნალისტის მომზადებულ მასალაში არ ფიგურირებდნ კონფლიქტში დაზარალებული ადამიანები და ძირითადი აქცენტი პოლიტიკურ ლიდერებზე ჰქონდათ გამახვილებული. მოამბეს კონფლიქტის ზონაში რეპორტიორი არ ჰყავდა.

მოამბემ მეორე სიუჟეტი დაუთმო საქართველოში გავრცელებულ განცხადებებს მიმდინარე კონფლიქტზე. მათ ჰქონდათ თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის პოზიცია. ჟურნალისტის ციტატა - „სთხოვა თუ არა კონფლიქტში ჩართულმა ქვეყნებმა დახმარება საქართველოს“. მოამბეს ასევე ჰქონდა ესპერტის, საქართველოს პრლამენტის თავმჯომარის დავით უსუფაშვილის და დავისუფალი დემოკრატიის ლიდერის ირაკლი ალასანიას განცხადებები. ჯამში ამ კონფლიქტს მოამბემ დაუთმო 6:06 წთ.

5 აპრილი (სამშაბათი)	სალამოს გამოშვება	ქრონომეტრაჟი
 რუსთავი 2	 კურიერი	8:02
 ივაზი	 ქრონიკა	6:32
 მაქსიმომ	 კონტაქტი	4:00
 პირველი არსი	 მოამბე	2:52

რუსთავი 2

5 აპრილის კურიერის მთავარი თემა იყო პრემიერის და პრეზიდენტის შეხვედრა. მათ კურიერის პირველ ნაწილში დაუთმეს დრო ყარაბაღის კონფლიქტს. 5 აპრილს კურიერის ჟურნალისტები კვლავ კონფლიქტის ბონაში იმყოფებოდნენ და იქიდან აწვდიდნენ ინფორმაციას. პირველი ჟურნალისტი სომხეთის კონგრულირებად ტერიტორიაზე სტეფანაკერტიდან ჩაერთო. ჟურნალისტის წიგაგა - „გასროლილი ტურვების რაოდენობით ადვილი მისახვედრია, თუ რა ინტენსივობით მიმდინარეობს ამერბაიჯანული პოზიციების დაბომბვა, არაღიარებული მთიანი ყარაბაღის არმია მძიმე არტილერიას იყენებს“. „კურიერმა“ ასევე მოიპოვა ჯარისკაცების მოსაზრებები, რომლებიც ამბობენ, რომ საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს, ამ დროისთვის ვითარება მშვიდია. სიუჟეტის მეორე ნაწილში კურიერში კვლავ ჩანდა იქ მცხოვრები ადამიანის მოსაზრებები. კურიერის ჟურნალისტის ინფორმაციით, მომდევნო დღეს შესაძლოა გავიდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები, წითელი ჯვრის წარმომადგენლები და ადგილზე შეაფასონ ვითარება.

მეორე ჟურნალისტი ჩაერთო ამერბაიჯანიდან, ტერტერის რაიონიდან. ჟურნალისტმა საუბარი დაიწყო იმაზე, რომ ოფიციალურმა ბაქომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და მთიან ყარაბაღში ცეცხლი უკვე რამდენიმე საათია აღარ გახსნილა. ჟურნალისტის ციგაგა - „პრეზიდენტმა ალიევი გააკეთა ოფიციალური მიმართვა და თქვა, რომ ამერბაიჯანი წყვეტს შეიარაღებულ კონფლიქტს მთიან ყარაბაღში“. ჟურნალისტმა ასევე გააჟღერა საერთაშორისო გაერთიანებების მოწოდებები და თქვა, რომ ეს საერთაშორისო გაერთიანება მინსკის ჯგუფის ფორმატში შეიკრიბნენ და განიხილავენ ყარაბაღის კონფლიქტს. ისინი ასევე აპირებდნენ გამგზავრებას ამერბაიჯანში და დააკვირდებოდნენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეულ შეთანხმებას. კურიერს ჰქონდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის სინქრონი, რომელიც ამბობს, რომ ის ესაუბრა ლავროვს და რუსეთი არ უნდა იყოს დაინტერესებული ამ კონფლიქტში. სიუჟეტის ბოლო ნაწილში მათ ჰყავდათ ჩაწერილი ერთი დამარაღებული ადამიანი, რომელიც საავადმყოფოში იწვა და იხსენებდა, თუ როგორ ჩამოვარდა ტურვი მის სახლში.

ჟურნალისტი მის ბოლო სიგევაში ამბობს, რომ ბოლო 4 დღესთან შედარებით 5 აპრილს სიგუაცია დასტაბილურდა და სროლის ხმა აღარ ისმის. ჯამში კურიერმა ამ კონფლიქტს დაუთმო 8:02 წთ.

იმედი

5 აპრილს, უკვე კონფლიქტიდან დიდი ხსნის შემდეგ იმედის რეპორტიორები ჩავიდნენ კონფლიქტის ბონაში. ჟურნალისტი ამბობს, რომ წინა დამესთან შედარებით ამ დროისთვის სტაბილური ვითარებაა. იმედის რეპორტიორიც სტეპანაკერტიდან ჩაერთო, თუმცა მან ყურადღება გაამახვილა დამომხილ სასწავლო დაწესებულებებზე, ის იმყოფებოდა ერთ-ერთ სკოლაში, სადაც 1 მოსწავლე გარდაიცვალა და 4 მძიმედ დაშავდა. მან მოახერხა გასაუბრებოდა სკოლის სამხედრო სწავლების

პელაგოსს, რომელმაც ეს შემთხვევა გაიხსენა. სიუჟეტში ასევე იყო მთიანი ყარაბაღის მკვიდრის მოსაზრება: ციგაგა “ისინი გვესვრიან, მშვილობიან მოქალაქეებს. აქ ეს სკოლაც დაზიანდა ჭურვის ნამსხვრევებისგან, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, რომ დავიცვათ თავი. ყველა ნორმალურ ადამიანს მშვილობა უნდა, მაგრამ ამ მიწის დათმობას არ ვაპირებთ. ეს აზერბაიჯანელებისთვის უბრალოდ გერიგორია ჩვენთვის კი სამშობლოა. აქ ჩვენი ეკლესიაა, ამ მიწაზე ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ. დღეს მე მომკლავენ, ხვალ ჩემი შვილი გააგრძელებს აქ ცხოვრებას, ჩვენ აქედან არ წავალთ. ქრონიკას მინსკის ჯგუფის შეხვედრასთან დაკავშირებით არ გაუვრცელებია, ინფორმაცია.

ქრონიკის მეორე გადაძღვები ჯგუფი გერგერში მუშაობდა. ქურნალისტი ამბობს, რომ უშუალოდ ცხელ წერტილში აზერბაიჯანის წარმომადგენლები შესვლის უფლებას არ აძლევენ. კურიერის მსგავსად ქრონიკამაც ჩაწერა დაზარალებული ადამიანი, რომელიც საავადმყოფოში იმყოფებოდა, თუმცა კურიერში ის იხსენებდა, როგორ ჩამოვარდა ჭურვი იმ სახლში, ქრონიკის შემთხვევაში კი, თქვა ის, რომ ახსოვს მხოლოდ ის, თუ როგორ გამოიყვანა დედამ სახლიდან. ქრონიკამ აჩვენა კადრები, თუ როგორ კრძალავენ მოქალაქეები სამხედრო მოსამსახურეებს, რომლების კონფლიქტში დაიღუპნენ. ქრონიკამ ყარაბაღის კონფლიქტს ჯამში დაუთმო 6:32 წთ.

მაესტრო

5 აპრილს მაესტროს კონტაქტის მთავარი თემა იყო ტელევიზიის ახალი დირექტორი. კონტაქტს ყარაბაღის კონფლიქტი გადაცემის პირველ ნაწილში ჰქონდა. წამყვანებმა 16 წლის გოგონას დალუპვაზე და მინსკის ჯგუფის შეხვედრაზე გაამახვილეს ყურადღება. ქურნალისტი სტუდიიდან ჩაერთო პირდაპირ ეთერში და მან საუბარი დაიწყო მინსკის ჯგუფის შეხვედრაზე. ქურნალისტის ციგაგა - „მოკლედ მთიანი ყარაბაღი ისევ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრშია და როგორც ჩანს, მსოფლიო და რეგიონული ლიდერების ძალისხმევამ გარკვეული შედეგები გამოიღო და ამ დროის მონაცემებით საომარი მოქმედებები ყარაბაღში შეწყვეტილია“. სიუჟეტი დაწყო კონფლიქტში მონაწილე მხარეების მხრიდან გავრცელებული ინფორმაციით მსხვერპლისა და დანაკარგების შესახებ. სიუჟეტში ყურადღება გამახვილდა დალუპული სამხედროების რაოდენობაზე. გადაცემაში აჩვენეს კადრები, როგორ მონახულა დაჭრილები აზერბაიჯანის პრემიერდენგმა. მათ ასევე ჰქონდათ სომხეთის პრემიერდენგის განცხადება და აშშ-რუსეთის საგლეჯო საუბრის განხილვა. ტელეკომპანია მაესტროს კონფლიქტის ზონაში არ ჰყავდა რეპორტიორი. ჯამში 5 აპრილს მაესტრომ ყარაბაღის კონფლიქტს დაუთმო 4:00 წთ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

5 მაისის მოამბის მთავარი თემა იყო პრემიერდენგის და პრემიერის შეხვედრა. გადაცემაში ყარაბაღის კონფლიქტი გავიდა მე-7 სიუჟეტად. სიუჟეტი დაიწყო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციით. მათ ასევე გააშუქეს მინსკის ჯგუფის შეხვედრა. სიუჟეტში ყურადღება გამახვილდა დალუპულ და დაჭრილ ჯარისკაცებზე. ასევე განაღვურებულ ტანკებზე, ჯავშანგრანსპორტზე და საარტილერიო დანადგარებზე. სიუჟეტის ბოლოს ქურნალისტმა მხოლოდ თქვა, რომ 1992-94 წლებში ყარაბაღის

კონფლიქტს 30,000-მდე ადამინი ემსხვერპლა. საზოგადოებრივ მაუწყებელს კონფლიქტის ზონაში რეპორტიორი არ ჰყავდა. 5 აპრილს ამ კონფლიქტს მათ დაუთმეს 2:52 წთ.

6 აპრილს მთიან ყარაბაღში სროლები განახლდა

- სხვადასხვა ფაქტები გამოშვებებში:

6 აპრილი (ოთხშაბათი)	საღამოს გამოშვება	ქრონომეტრაჟი
 რუსთავი 2	 კურიერი	6:44
 იმედი	 ქრონიკა	6:13
 მაესტრო	 კონტაქტი	1:42

	 <p>მომბე</p>	<p>2:26</p>
---	--	-------------

რუსთავი 2

6 აპრილის სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაირღვა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. 6 აპრილის კურიერის მთავარი თემა იყო „აღმინისგრაფიული რესურსები და არჩევნები“. ყარაბაღის განახლებული კონფლიქტი გაშუქდა გადაცემის პირველ ნაწილში და კურიერის ჟურნალისტები ისევ კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდნენ. ჟურნალისტმა ეთერში გააჟღერა 2 გარდაცვლილ სომეხზე ინფორმაცია და თქვა, რომ მთიან ყარაბაღში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. სიუჟეტში ყურადღება გამახვილდა ადამიანებზე, რომ ისინი მთიანი ყარაბაღის სოფლებს გოვებდნენ, ასევე მათ ჰქონდათ ის კადრები, თუ როგორ გოვებენ მოქალაქეები ქალაქებს. კურიერის ჟურნალისტის სიუჟეტში, რომელიც იმყოფებოდა ყარაბაღში, ჩანდნენ კონფლიქტში დაზარალებული ადამიანები. სიუჟეტში ასევე იყო გერმანიის კანცლერის და სომხეთის პრემიერის განცხადებები.

კურიერის მეორე ჟურნალისტი კვლავ აზერბაიჯანულ მხარეს მუშაობდა. წამყვანმა თავის ტექსტში ყურადღება გაამახვილა დაჭრილებზე დაღუპულებზე და დანგრეულ სახლებზე. ჟურნალისტს თავის სიუჟეტში ჰქონდა კონფლიქტში დაზარალებული აზერბაიჯანელი ადამიანების მოსაზრებები. სიუჟეტში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ საარტილერიო იერიშები არალიარებულ მთიან ყარაბაღის არმიამ განახორციელა. კურიერს ასევე ჰქონდა ტერტერის მერის მოსაზრებები. ამბის ბოლოს კი ჟურნალისტმა აჩვენა კადრები სადაც ღამით გადაადგილებოდა, მძიმე ტექნიკა. სიუჟეტი დასრულდა ცეცხლის შეწყვეტაზე ეუთოს მონიტორების სამომავლო დაკვირვების თემით. ჯამში რუსთავი 2-მა ყარაბაღის კონფლიქტს დაუთმო 6:44 წთ

იმელი

6 აპრილს ქრონიკის მთავარი თემა იყო საარჩევნო სიები. 6 მაისის ქრონიკაში წამყვანმა მაყურებელს უთხრა, რომ მთიან ყარაბაღში ვითარება გამწვავდა და აზერბაიჯანული მხარე ყარაბაღს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაარღვევაში აღანაშაულებს. სიუჟეტის სათაური იყო ასეთი: მარგაკერგიდან-თალიშამდე. ჟურნალისტმა სიუჟეტში თქვა, რომ მთიანი ყარაბაღი კონფლიქტის ზონაში დამატებითი სამხედრო მობილიზებას ცდილობს. სიუჟეტში ჩანდნენ ის ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს სახლი და გოვებდნენ იმ ადგილს. ჟურნალისტის ციტატა - „ერთი შეხედვით ყარაბაღი მარადიული ცეცხლის ჩასაქრობად უფრო ემზადება ვიდრე ახალი დაპირისპირების დასაწყება, თუმცა რაგომ მიდიან ფრონტის ხაზზე დამატებითი ძალები კითხვა პასუხგაცემელია“.

წამყვანი თავის ტექსტში ამბობს, რომ ქრონიკის ჟურნალისტი მოგვიყვება, რა ხდება გერგერშიო, თუმცა ჟურნალისტი Stand up-ის საშუალებით ამბობს, რომ ეს სოფელი დაიბომბა 2 აპრილს, და აჩვენებს 2 აპრილს ჩამონგრეულ სახლს. ქრონიკის ჟურნალისტს ჰქონდა მოპოვებული გერგერის რაიონის მერის მოსაზრებები. ჟურნალისტმა 6 აპრილს მაყურებელს მოუყვა 2 აპრილს დაზარალებულ სოფელზე. იმედმა ყარაბაღის კონფლიქტს ჯამში დაუთმო 6:13 წთ.

მაესგრო

6 აპრილს კონტაქტის მთავარი თემა იყო საპარლამენტო არჩევნები. ყარაბაღის კონფლიქტი მაესგროზე გაშუქდა გადაცემის ბოლოს, მაშინ როდესაც 6 აპრილს მთიან ყარაბაღში ვითარება გამწვავდა. წამყვანის ციტატა - „არაღიარებულ მთიან ყარაბაღში სიმშვიდეა, თუმცა მხარეები ურთიერთბრალდებებს არ წყვეტენ. თურქეთის პრეზიდენტი მოსკოვს კონფლიქტის მხარედ მიიჩნევს, ერდოღანის თქმით, რუსეთ-საქართველოსა და უკრაინის მსგავსად მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს, თურქეთის პირველმა პირმა სომხეთს ცეცხლის შეწყვეტის პირობების დაცვისკენ მოუწოდა, კონფლიქტის ესკალაციაში ამერბაიჯანი დაადანაშაულა სომხეთის პრეზიდენტმა, სარქისიანმა ანგელა მერკელთან შეხვედრაზე საერთაშორისო სამოგადოებს ე.წ. მთიანი ყარაბაღის აღიარებისკენ მოუწოდა“. გადაცემაში ყარაბაღის კონფლიქტი გაშუქდა როგორც კ/ს. მათ ჰქონდათ თურქეთის პრეზიდენტის და სომხეთის პრეზიდენტის განცხადებები. ჯამში ყარაბაღის კონფლიქტს დაუთმო 1:42 წმ.

სამოგადოებრივი მაუწყებელი

6 აპრილს მომავლის მთავარი თემა იყო “დავა თარიღებზე - რა პრეგნებიები აქვთ პოლიტიკურ ძალებს არჩევნების თარიღთან და ვალებთან მიმართებით“. ყარაბაღის კონფლიქტი გაშუქდა მე-12 სიუჟეტად, მაშინ როდესაც წინა დამეს საბრძოლო მოქმედებები განახლდა და დაილუპა რამდენიმე სამხედრო. წამყვანის ტექსტი - „ცეცხლი შეწყდა მთიან ყარაბაღში. შექმნილი მძიმე ვითარება და 5 დღიანი საომარი მოქმედებები ახლა საერთაშორისო მოლაპარაკებების მთავარი თემა ხდება“. წამყვანმა ასევე თქვა, რომ სადავო გერიტორიაზე უკვე რამდენიმე საათია აღარ ისვრიანო. სიუჟეტში ჩანდნენ ამერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის პრეზიდენტები. სიუჟეტში ასევე ყურადღება გაამახვილეს დალუპული ჯარისკაცების რაოდენობაზე. ამბავი ჟურნალისტმა დაასრულა ისე, როგორც 5 აპრილის გამოსვლაში „1992-94 წლებში ყარაბაღის კონფლიქტს 30,000-მდე ადამინი ემსხვერპლა“. ჯამში 6 აპრილს მოამბემ ამ კონფლიქტს დაუთმო 2:26 წთ.

7 აპრილი (ხუთშაბათი)	სალამოს გამოსვება	ქრონომეტრაჟი
----------------------	-------------------	--------------

 რუსთავი 2	 კურიერი	4:17
 იმედი	 ქრონიკა	00:31
 მაესტრო	 კონტაქტი	3:23
 პირველი არსი	 მოამბე	0

რუსთავი 2

7 აპრილს კურიერის მთავარი თემა ჰქონდა „დავა არჩევნების თარიღზე“. კურიერში ყარაბაღის კონფლიქტი გაშუქდა გადაცემის მეორე ნაწილში. წამყვანმა ტექსტში თქვა მხოლოდ ბაქოს პოზიცია მიმდინარე მოლაპარაკებებზე მშვიდობის შესანარჩუნებლად. წამყვანმა მთიანი ყარაბაღიდან ჩართო ჟურნალისტი. ჟურნალისტმა ამერბაიჯანული მედიაზე დაყრდნობით თქვა, რომ გორამბოს რაიონში არალიარებული მთიანი ყარაბაღიდან მოხდა გასროლა ამერბაიჯანის მხარეს, რა დროსაც 1 ამერბაიჯანული პოლიციელი დაიჭრა, რომელიც ამ დროისთვის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ჟურნალისტმა ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდებზე, რომლებიც ყარაბაღის რაიონებში და ქალაქებში გადაადგილდებოდნენ ამერბაიჯანული დროშებით და სკანდირებდნენ, რომ მთიანი ყარაბაღი ამერბაიჯანია.

სიუჟეტში ძირითადად ჩანდა ბაქოს პოზიციები და 1 ჯარისკაცის მოსაზრება. სიუჟეტში ნაჩვენებია იყო ამერბაიჯანის პრეზიდენტის და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა. ასევე გაშუქდა რუსეთის პრემიერ-მინისტრის სტუმრობა ერევანში, რომელმაც სომხების გენოციდის მემორიალი მონახულა. სიუჟეტის ბოლოს კი კონფლიქტის მონაწილე ეუთოს მინსკის ჯგუფის მონიტორინგზე გამახვილდა ყურადღება. ჯამში 7 აპრილს ყარაბაღის კონფლიქტს დაეთმო 4:17 წთ.

იმედი

უცხოეთის ახალი ამბების ქრონიკიდან ყარაბაღის კონფლიქტს დაუთმეს 31 წამი. ქრონიკამ აჩვენა მხოლოდ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის და ამერბაიჯანის პრემიერის შეხვედრის კადრები. მათ ასევე ყურადღება გაამახვილეს თურქეთის პრემიერის განცხადებაზე, რომელმაც რუსეთი მხარედ მოიხსენია და პარალელები საქართველოში, უკრაინასა და სირიაში რუსეთის ქმედებებთან გაავლო.







მაესგრო

ვის აწყობს კავკასიის რეგიონში გაყინული კონფლიქტების განახლება და როგორ შეილება ამ კრიზისული სიტუაციის საბოლოოდ მოგვარება, ამ კითხვებით კონგაქტის წამყვანმა ვაშინგტონიდან ამერიკის ხმის ჟურნალისტი ჩართო ეთერში. წამყვანმა ინტერვიუ ჩაწერა ამერიკელ ექსპერტთან და ყურადღება გაამახვილა კითხვაზე თუ ვის უნდა აწყობდეს გაყინული კონფლიქტის განახლება. ჟურნალისტის ციტატა - „სომხეთში გავრცელებულია აზრი, თითქოს ეს თურქეთის ინტერესებში უნდა შედიოდეს“. ჯამში კონგაქტმა ამ თემას დაუთმო 3:23 წთ.

სამოგადოებრივი მაუწყებელი

სამოგადოებრივი მაუწყებლის 7 აპრილის საინფორმაციო გამოშვებაში ყარაბაღის კონფლიქტს ეთერი არ დაუთმეს.

კანონპროექტი

5 მაისი (ხუთშაბათი)	სალამოს გამოშვება	ქრონომეტრაჟი
 რუსთავი 2	 კურიერი	1:08
 იმედი	 ქრონიკა	0
 მკედრინო		0

	კონტაქტი	
 პირველი არხი	 მოამბე	2:52

რუსთავი 2

კურიერმა 5 აპრილს ყარაბაღის კონფლიქტი გააშუქა გამოშვების მეორე ნაწილის ბოლოს. ამბავი ეხებოდა სომხეთის მთავრობის მიერ მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის შესახებ მომზადებულ კანონპროექტს, რომელსაც სომხეთი იმ შემთხვევაში გამოიყენებს, როდესაც ამერბაიჯანი განახორციელებს მორიგ აგრესიას. ჯამში ამ კანონპროექტზე კურიერმა სინქრონის გარეშე დაუთმო 1:08 წთ.

იმელი

5 მაისს, კანონპროექტის შესახებ ინფორმაცია არ გაუშუქებია ქრონიკას.

მაესგრო

5 მაისს, კანონპროექტის შესახებ ინფორმაცია არ გაუშუქებია კონტაქტს.

სამოგადოებრივი მაუწყებელი

5 მაისს მოამბემ 25 თემიდან მე-18 ამაღალ გააშუქა ყარაბაღის კონფლიქტი სათაურით - „სომხეთმა ყარაბაღი. შესაძლოა, დამოუკიდებელ რეგიონად აღიაროს“. მოამბის წამყვანმა რუსთავი 2-სგან განსხვავებით თქვა, რომ კანონპროექტის ავტორები არიან ოპოზიციონერი დეპუტატები. სიუჟეტში ამერბაიჯანის და რუსეთის პოზიციებიც იყო წარმოდგენილი. ასევე, ჟურნალისგმა სიუჟეტში თქვა, რომ ამერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო სამხედრო არსენალს ანახლებს. სიუჟეტის ბოლო ნაწილი კი 2 აპრილს განვითარებულ მოვლენებს, 5 აპრილის მხარეების შეთანხმებას და ბაქო-ერევანს შორის მთიან ყარაბაღზე თავდაპირველ კონფლიქტს დაეთმო. ჯამში მოამბემ ყარაბაღის კონფლიქტს დაუთმო 2:52 წთ.

17 მაისი (სამშაბათი)	სალამოს გამოშვება	ქრონომეტრაჟი
 რუსთავი 2	 კურიერი	0
 იმელი	 ქრონიკა	0
 მაესტრო	 კონტაქტი	0
 პირველი არსი	 მოამბე	2:04

რუსთავი 2

17 მაისს კურიერს არ გაუშუქებია ყარაბაღის კონფლიქტი.

იმელი




17 მაისს ქრონიკას არ გაუშუქებია ყარაბაღის კონფლიქტი

მაესტრო

17 მაისს კონტაქტს არ გაუშუქებია ყარაბაღის კონფლიქტი.

სამოგალოებრივი მაუწყებელი

17 მაისს მოამბემ 15 თემიდან ყარაბაღის კონფლიქტი მე-11 ამბად გააშუქა სათაურით - „მთიან ყარაბაღში შეტაკებებს ისევ მსხვერპლი მოჰყვა - მხარეები ერთმანეთს აღანაშაულებენ“. სიუჟეტი ჟურნალისგმა დაიწყო აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მხრიდან გაფრცელებული ინფორმაციით. ჟურნალისგის ციგატა „აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით სომხური მხარე დღეს დილით აზერბაიჯანის არმიის პოზიციებს თავს დაესხა, რასაც ერთი ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა“. სიუჟეტში ნაჩვენები იყო კადრები, თუ როგორ გადაადგილდებოდა ქალაქ სტეფანაკერტში ოპერატიულ ტაქტიკური სარაკეტო კომპლესები. სიუჟეტის ბოლოს ეუთოს მინსკის ჯგუფის შეხვედრის კადრები აჩვენეს, რომლის დროსაც ყარაბაღში მიმდინარეობდა სროლები. სიუჟეტში ჩანდა მხოლოდ სომხეთის პრემიერდენტის და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსამრებები.

2 აპრილი - 20 მაისი	პუბლიკაციების რაოდენობა
	31
	3
	25

 <p>ინტერპრესნიუსი</p>	120
 <p>რადიო თავისუფლება</p>	32

2 აპრილი

ნეგაზეთი

2 აპრილს მთიან ყარაბაღში კონფლიქტის განახლებასთან დაკავშირებით ნეგაზეთმა 4 მასალა გამოაქვეყნა. გამოცემა ეყრდნობოდა, როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის ოფიციალური უწყებების ოფიციალურ ინფორმაციებს. ამავე დღეს ნეგაზეთმა მკითხველს შესთავაზა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ფედერიკა მოგერინის განცხადება, რომელიც მხარეებს საომარი მოქმედებების სასწრაფოდ შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ნეგაზეთის ყველა მასალის ბოლოს მითითებულია ინფორმაცია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ დაწყებიდან დღემდე.

ლიბერალი

ლიბერალს მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლებასთან დაკავშირებით 2 აპრილს ვებ-გვერდზე არცერთი მასალა გამოუქვეყნებია.

ტაბულა

ტაბულამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განახლებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანისა და სომხეთის ოფიციალურ უწყებებზე დაყრდნობით ერთი ნიუსი გამოაქვეყნა. გარდა ამისა, გამოცემა მკითხველს ქართული პოლიტიკოსების: გიორგი ვოლსკის, ლევან ბერძენიშვილისა და ელენე ხოშტარიას კომენტარები შესთავაზა.

ინგერპრესნიუსი

მთიანი ყარაბაღის შესახებ ინგერპრესნიუსმა მთელი დღის განმავლობაში 8 ნიუსი გამოაქვეყნა. ინფორმაცია კონფლიქტის განახლებასთან დაკავშირებით ეყრდნობოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის თავდასცვის სამინისტროს. სააგენტო ასევე აქვეყნებდა ცნობებს აზერბაიჯანულ და სომხურ მედიაზე დაყრდნობით. სხვა გამოცემებისგან განსხვავებით, IPN-მა გამოაქვეყნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარი, რომელიც მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. არალიარებული მთიანი ყარაბაღის თავდასცვის სამინისტროსა და სომხურ მედიაზე დაწყრდნობით, ინგერპრესნიუსმა 2 აპრილს ორჯერ გამოაქვეყნა სხვადასხვა ნიუსი "200 აზერბაიჯანელი სამხედროს დანაკარგის შესახებ", რასაც ოფიციალური ბაქო კატეგორიულად არ ადასტურებდა. IPN-ს ასევე ჰქონდა გამოქვეყნებული საფრანგეთის პრემიერდენგისა და ევროსაბჭოს განცხადებები, რომლებიც მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ.

რადიო თავისუფლება

2 აპრილს რადიო თავისუფლებაზე 4 მასალა გამოქვეყნდა. გამოცემამ კონფლიქტის შესახებ ცნობები სომხეთისა და აზერბაიჯანის ოფიციალურ უწყებებზე დაწყრდნობით გაავრცელა. სხვა ინგერნეტგამოცემებისგან განსხვავებით, რადიო თავისუფლების მიერ გავრცელებული მასალებიდან, 2 იყო ვიდეო.

3 აპრილი

ნეტგაზეთი

3 აპრილს ნეტგაზეთმა 3 მასალა გამოაქვეყნა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ. პირველი ცნობაში 2 აპრილს დალუპულთა რაოდენობაზე გამახვილდა ყურადღება. ნეტგაზეთმა მთიანი ყარაბაღის 2 აპრილის მოვლენების მიზმებსა და სამომავლო პროგნოზზე კონფლიქტოლოგი, პრადის კარლოვის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ემილ სულეიმანოვის ინტერვიუ შესთავაზა მკითხველს. გამოცემამ კონფლიქტის შესახებ ბოლო სიახლე ოფიციალურ

ბაქოზე დაყრდნობით გაავრცელა, რომლის მიხედვითაც ამერბაიჯანი სამხედრო მოქმედებებს წყვეტდა.

ლიბერალი

ლიბერალმა 3 აპრილს ერთი ნიუსი გამოაქვეყნა. საინფორმაციო სააგენტო trend.az-ზე დაყრდნობით, გამოცემამ მკითხველს ამცნო, რომ მთიან ყარაბაღში იმ დროისთვის სროლა უკვე შეწყვეტილი იყო.

გაბულა

გაბულამ მკითხველს ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ 9 მასალა გამოაქვეყნა. აქედან, ორი ნიუსი ამერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროზე და პრეზიდენტზე დაყრდნობით გაშუქდა, დანარჩენი მასალები ქართველი პოლიტიკოსების კომენტარებისგან შედგებოდა. 3 აპრილს გაბულაზე არ გაშუქებულა ოფიციალური სომხეთის ან სომეხი პოლიტიკოსების პოზიცია.

ინგერპრესნიუსი

ინგერპრესნიუსმა 3 აპრილს 8 მასალა გამოაქვეყნა. გაშუქდა როგორც სომხეთის, ისე ამერბაიჯანის პოზიციები. 2 ნიუსი არაღიარებულ მთიანი ყარაბაღის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოქვეყნდა. ამავე დღეს გამოქვეყნდა საფრანგეთის დიპლომატიური უწყებისა და გაეროს გენერალური მდივნის განცხადებები, რომელბიც მხარეებს მთიან ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებელ შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ.

რადიო თავისუფლება

რადიო თავისუფლებაზე 3 აპრილს 3 მასალა გამოქვეყნდა. აქედან ერთი ვიდეომასალა. რადიო თავისუფლება ინფორმაციის წყაროდ იყენებდა როგორც ამერბაიჯანულ, ისე სომხურ მედია საშუალებებსა და ოფიციალურ უწყებებს.

4 აპრილი

ნეტგაზეთი

4 აპრილს ნეტგაზეთზე ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ 3 ნიუსი გამოქვეყნდა. საომარი მოქმედებების გაგრძელების შესახებ სხვადასხვა ცნობები გამოცემამ ერთ მასალად გააშუქა, სადაც კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის პოზიციას თანაბრად გაუღერდა. დანარჩენი ორი მასალა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარებს შეადგენდა, რომლებიც მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას მოუწოდებდნენ.

ლიბერალი

ლიბერალმა 4 აპრილს ერთი მასალა შესთავაზა მკითხველს. სტატია BBC-სა და ЭХО Кавказа-ზე დაყრდნობით არის დაწერილი. გამოცემა აქცენტს აკეთებდა იმაზე, არის თუ არა „მოსკოვის ხელი“ ყარაბაღის კონფლიქტში. მასალაში ასევე იყო კონფლიქტის განახლებისთან დაკავშირებით ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების მოკლე აღწერა.

ტაბულა

4 აპრილს ტაბულაზე ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ 7 მასალა გამოქვეყნდა. გამოცემამ გააშუქა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა, ევროინტეგრაციის მინისტრისა და NATO-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის განცხადებები, რომლებიც შემობელ ქვეყნებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისკენ მოუწოდებენ. ტაბულამ ასევე გააშუქა ოფიციალური აზერბაიჯანისა და სომხეთის პრემიერების განცხადებები.

ინტერპრესნიუსი

4 აპრილს ინტერპრესნიუსმა 29 მასალა გამოაქვეყნა ყარაბაღის კონფლიქტზე. საინფორმაციო სააგენტო მთელი დღის განმავლობაში აშუქებდა ოფიციალური აზერბაიჯანისა და სომხეთის პოზიციებს. გარდა ამისა, IPN-ზე ქვეყნდებოდა აღარიაარებული მთიანი ყარაბაღის პრემიერის განცხადებები. სააგენტო ასევე აშუქებდა ქართველი პოლიტიკოსების განცხადებებს კონფლიქტის შესახებ.

რადიო თავისუფლება

რადიო თავისუფლების გვერდზე 4 აპრილს გამოქვეყნდა 5 ამბავი ყარაბაღის კონფლიქტზე. ეთერში მათ ჰყავდათ ლევან ცუცქერიძე და ალექო კვახაძე. რადიო თავისუფლებამ კადრებიც სინქრონების გარეშე გამოაქვეყნა, სადაც ჩანს თუ როგორ დაუშინა ჭურვები სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ამერბაიჯანულ ჯარისკაცებს. ამ ვიდეოს აღწერაში არ იყო დაფიქსირებული მხარეების მოსაზრებები. რადიო თავისუფლებამ ასევე გამოქვეყნდა სტაგუა სათაურით - „საქართველოს საფრთხეები ამერბაიჯანისა და სომხეთის კონფლიქტის დროს“. სხვა ინტერნეტგამოცემებისგან განსხვავებით, რადიო თავისუფლებამ 4 აპრილს გამოაქვეყნა სტაგია, რომელიც ეხებოდა სომხეთის მინიშნებას მთიანი ყარაბაღის აღიარების აღბათობაზე.

5 აპრილი

ნეგგაზეთი

5 აპრილს ნეგგაზეთმა ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ 3 მასალა გამოაქვეყნა. ერთი იყო ფოტორეპორტაჟი კონფლიქტის მონიღან, ხოლო მეორე საქართველოს თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის პოზიცია, რომლის მიხედვითაც რეგიონში სტაბილურობა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ლიბერალი

5 აპრილს ლიბერალმა 1 მასალა გამოაქვეყნა ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. გამოცემაში მკითხველს საქართველოს პარლამენტის წევრების, რუსლან პოლოსიანისა და ალი მამედოვის პოზიციები გააცნო.

გაბულა

გაბულამ 5 აპრილს 3 მასალა გამოაქვეყნა. გამოცემაში გამოაქვეყნა საქართველოს რელიგიის სააგენტოს განცხადება ყარაბაღის კონფლიქტზე, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს ურთიერთმტრობას დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ასევე, გაშუქდა აშშ-ის ელჩის საქართველოში, იან კელის კომენტარი, რომელიც მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებს. სამი ნიუსიდან ერთში დაფიქსირებული იყო ამერბაიჯანის პოზიცია, რომელიც მოწინააღმდეგეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული შეთანხმების დადგევაში აღანაშაულებდა. გაბულაზე ცალკე ნიუსად არ

იყო გამოქვეყნებული, რომ მხარეები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმდნენ. ასევე, არ გაშუქებულა კონფლიქტში მონაწილე მეორე მხარის, სომხეთის პოზიცია.

ინტერპრესნიუსი

ინტერპრესნიუსმა 5 აპრილს ყარაბაღის კონფლიქტზე 10 მასალა გამოაქვეყნა. საინფორმაციო სააგენტო აქვეყნებდა ოფიციალურ ბაქოს და ერევნის ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს. IPN-ზე ასევე ქვეყნდებოდა არალიარებული მთიანი ყარაბაღის მიერ გავრცელებული ცნობები. საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა უეთოს მინსკის ჯგუფის კონფლიქტის ზონაში ჩასვლის შესახებ ცნობა. ასევე, საქართველოს პარლამენტის დეპუტატების რუსულან პოლოსიანისა და ალი მამელოვის ერთობლივი განცხადება. ინტერპრესნიუსზე გავრცელდა პაატა ბურჭულაძის განცხადებაც ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ. IPN-ზე ასევე გამოქვეყნდა ნიუსი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და მისი სომეხი კოლეგის საგელეფონო საუბრის შესახებ.

რადიო თავისუფლება

რადიო თავისუფლებამ 5 აპრილს 5 სტატია გამოაქვეყნა. სხვა ონლაინგამოცემებისგან განსხვავებით, რადიო თავისუფლებას ჰქონდა სტატია როდესაც მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. მათ ასევე ჰქონდათ ნიუსი, ყარაბაღში დაღუპულთა რაოდენობაზე. 5 აპრილს გამოქვეყნდა გიოგი ცხადაიას ბლოგი სათაურით - „მხარი დაფუჭიროთ მშვილობას მთიან ყარაბაღში და კავკასიის რეგიონში“. ამავე დღეს ვრცელი სტატია გამოქვეყნდა სტატია ყარაბაღის ზავზე და საქართველოს შუამავლობაზე, მაგ ინტერვიუ ჩაწერეს ანალიტიკოს ბაალ ანჯაფარიძესთან. 5 აპრილის რადიო თავისუფლება იყო ინფორმაციულად დატვირთული.

6 აპრილი

ნეგგაზეთი

6 აპრილს ნეგგაზეთზე ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ არცერთი მასალა გამოქვეყნებულა.

ლიბერალი

6 აპრილს ლიბერალზე ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ არცერთი მასალა გამოქვეყნებულა.

ტაბულა

ტაბულაზე 6 ნაპრილს 1 მასალა გამოქვეყნდა. ტაბულამ ოფიციალური ბაქოს განცხადება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ამერბაიჯანი სომხურ მხარეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დაღრმევაში ადანაშაულებს. ამავე დღეს ტაბულას არ გამოუქვეყნებია კონფლიქტში მონაწილე მეორე მხარის, სომხეთის პოზიცია.

ინგერპრესნიუსი

ინგერპრესნიუსზე 6 აპრილს 9 მასალა გამოქვეყნდა ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ. საინფორმაციო სააგენტო ნიუსებს აქვეყნებდა კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის მიერ გავრცელებულ ცნობებზე დაყრდნობით. ასევე, ქვეყნდებოდა არალიარებული მთიანი ყარაბაღის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს ცნობები. ამავე დღეს საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა აშშ-ის ელჩის საქართველოში, იან კელის კომენტარი. ასევე, გამოქვეყნდა ნიუსი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბრის შესახებ სომხეთისა და ამერბაიჯანის პირველ პირებთან. ასევე, გამოქვეყნდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის დაგეგმილი ვიზიტის შესახებ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან. IPN-მა გამოაქვეყნა თურქეთის პრეზიდენტის, ერდოღანის განცხადებაც, რომელიც რუსეთის აკრიტიკებს და საუბრობს მოსკოვის როლზე ყარაბაღის კონფლიქტში.

რადიო თავისუფლება

6 აპრილს რადიო თავისუფლებამ გამოაქვეყნა ორი აუდიო ინტერვიუ და ერთი სტატია. აუდიო ინტერვიუში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი გიორგი გობრონიძე და პოლიტოლოგი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი ნიკა ჩიგაძე და საუბრობდნენ საქართველოზე სამხრეთ კავკასიის სამკუთხედში. მეორე აუდიო ინტერვიუ ჩაწერეს თეონა აქუბარდიასთან, სამხედრო და უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი, ბრიტანეთის თავდაცვის კოლეჯის მსმენელი, ინტერვიუს სათაური იყო „რუსეთის სტრატეგიული მოულოდნელობის ეფექტი vs. ნატოს სტრატეგიული მოთმინება“. მათ ასევე გამოაქვეყნეს სტატია, სადაც ყველა ინფორმაცია და განხილვები იყო დაფიქსირებული როგორც კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის ასევე კონფლიქტში დაინტერესებული ქვეყნების მხრიდან.

7 აპრილი

ნეგგაზეთი

7 აპრილს ნეგგაზეთზე ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ არცერთი მასალა გამოქვეყნებულა.

ლიბერალი

7 აპრილს ლიბერალზე ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ არცერთი მასალა გამოქვეყნებულია.

ტაბულა

7 აპრილს ტაბულაზე ერთი ნიუსი გამოქვეყნდა. ტაბულამ ოფიციალური ბაქოს განცხადება გამოაქვეყნა, რომელის თანახმად აზერბაიჯანი სომხურ მხარეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევაში კიდევ ერთხელ ადანაშაულებს. ტაბულაზე არც 7 აპრილს გამოქვეყნებულია კონფლიქტში მონაწილე მეორე მხარის, სომხეთის პოზიცია.

ინგერპრესნიუსი

7 აპრილს ინგერპრესნიუსმა 4 მასალა გამოაქვეყნა. საინფორმაციო სააგენტომ საქართველო საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძისა და მისი ლიგველი კოლეგის შეხვედრის შესახებ გაავრცელა ცნობა, რომელიც ყარაბაღის კონფლიქტს შეეხებოდა. IPN-ზე გაშუქდა გიგი წერეთელის მუშაობა "ევროპის სახალხო პარტიის" პოლიტიკურ ასამბლეაში, რომელიც ასევე ყარაბაღის კონფლიქტს დაეთმო. საინფორმაციო სააგენტომ 7 აპრილს ყარაბაღის კონფლიქტის დროს დაღუპულ და დაჭრილ ჯარისკაცთა შესახებ გამოაქვეყნა ცნობა.

რადიო თავისუფლება

რადიო თავისუფლებამ 7 აპრილს გამოქვეყნა მხოლოდ ერთი ახალი ამბავი სათაურით „აზერბაიჯანი ბავის დარღვევაში სეპარატისტებს ადანაშაულებს“. მათ ჰქონდათ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადება და არ ჰქონდათ დაპირისპირებული მხარის პოზიციები.

5 მაისი

ნეგგაზეთი

ნეგგაზეთმა 5 მაისს ორი მასალა გამოაქვეყნა მთიანი ყარაბაღის შესახებ. პირველი ახალი ამბავი შეეხებოდა სომხეთის ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ მომზადებულ კანონპროექტს მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რომელსაც სომხეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა. მეორე ამბავი ACT [ეი-სი-თი]-ის აზერბაიჯანის ოფისის მიერ ჩატარებულ კვლევას მიეძღვნა, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანში გამოკითხულთა 97% ყარაბაღში სამხედრო მოქმედებებს უჭერს მხარს.

ლიბერალი

ლიბერალმა 5 მაისს მთიანი ყარაბაღის შესახებ მასალა არცერთი გამოუქვეყნებია.

ტაბულა

ტაბულას 5 მაისს მთიანი ყარაბაღის შესახებ მასალა არცერთი გამოუქვეყნებია.

ინგერპრესნიუსი

ინგერპრესნიუსმა 5 მაისს მთიანი ყარაბაღის შესახებ 3 მასალა გამოაქვეყნა. მათ შორის: სომხეთის მთავრობის მიერ მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ კანონპროექტის დამტკიცება, რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერის, პესკოვის კომენტარი სომხეთის მიერ ყარაბაღის აღიარების შესახებ. დღის ბოლოს საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ მთიანი ყარაბაღის კანონპროექტის განხილვა სომხეთის პარლამენტის დღის წესრიგში არ იყო შესული. ნეგგაზეთისგან განსხვავებით, ინგერპრესნიუსს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ კანონპროექტს 2014 წელს სომხეთის პარლამენტარებმა უყარეს კენჭი და მხარი არ დაუჭირეს დეპუტატებმა. საინფორმაციო სააგენტოს ნიუსებში არც ის იყო აღნიშნული, რომ კანონპროექტის სომხეთის ოპოზიციონერმა დეპუტატებმა შეიმუშავეს.

რადიო თავისუფლება

რადიო თავისუფლებამ 5 მაისს რუსთავი 2-ის და საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსად გააშუქა სომხეთის ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც ეხებოდა ყარაბაღის დამოუკიდებლობის საკითხს. ნეგგაზეთისგან განსხვავებით, რადიო თავისუფლებას არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ კანონპროექტს 2014 წელს სომხეთის პარლამენტარებმა უყარეს კენჭი და მხარი არ დაუჭირეს დეპუტატებმა.

17 მაისი

ნეგგაზეთი

ნეგგაზეთმა 17 მაისს ერთი მასალა გამოაქვეყნა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ. ინტერნეტგამოცემამ გამოაქვეყნა ნიუსი აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ, რომლებიც რამდენიმე საკითხზე შეთანხმდნენ.

ლიბერალი

17 მაისს ლიბერალზე არ გამოქვეყნებულა ცნობა იმის შესახებ, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები ყარაბაღის შესახებ რამდენიმე საკითხზე შეთანხმდნენ.

ტაბულა

ტაბულამ 17 მაისს 1 მასალა გამოაქვეყნა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ. ტაბულამ გამოაქვეყნა ნიუსი აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ, რომლებიც ყარაბაღის საკითხზე ზავის შესრულებაზე შეთანხმდნენ.

ინტერპრესნიუსი

17 მაისს ინტერპრესნიუსმა გამოაქვეყნა 2 მასალა მთიანი ყარაბაღის შესახებ. ნიუსი, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანული და სომხური მხარეები კვლავ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის ბრალდებით გამოდიან, აგებული იყო ოფიციალური ბაქოსა და ერევნის მიერ გამოქვეყნებული განცხადებების მიხედვით. IPN-ს არ ჰქონია ცალკე ნიუსად აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრა, რა დროსაც ისინი რამდენიმე საკითხზე შეთანხმდნენ. საინფორმაციო სააგენტომ გააშუქა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის კომენტარი, რომელიც აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები ზავის პირობების შესრულების შეთანხმებას შეეხებოდა.


რადიო თავისუფლება

რადიო თავისუფლებამ 17 მაისს გამოაქვეყნა ორი ახალი ამბავი. ერთი ახალი ამბავი ეხებოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების განახლებულ ზავს მთიან ყარაბაღში, ხოლო მეორე ნიუსი


გააშუქეს კონფლიქტში მონაწილე მხარეების დაადასტურებული ზავის ერთგულება, რომელშიც დაფისირებული იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადება.

რაოდენობრივი კვლევა

1. გაინგერესებთ თუ არა ყარაბაღში მიმდინარე კონფლიქტი? (91)




2. რომელი ტელევიზიიდან და ინტერნეტგამოცემიდან იღებთ ობიექტურ, დაბალანსებულ და დროულ ინფორმაციას კონფლიქტის შესახებ? (91)




პასუხები

- რუსთავი 2 (47)
- საზოგადოებრივი მაუწყებელი (16)
- რადიო თავისუფლება (12)
- ნეტგაზეთი (7)
- ტაბულა (4)
- იმედი (22)
- სხვა (14)
- მაესტრო (10)
- ინტერპრესნიუსი (7)
- ლობერალი (1)

3. რა სიხშირით აშუქებს ქართული გელევიზიები და ინტერნეტგამოცემები ყარაბაღის კონფლიქტს? (92)




4. რომელ ტელევიზიებსა და ინტერნეტგამოცემებში შეინიშნებოდა დადებითი შეფასებები ყარაბაღის კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ? (78)



პასუხები

- რუსთავი 2 (41)
- იმედი (20)
- მაესტრო (7)
- საზოგადოებრივი მაუწყებელი (5)
- ლიბერალი (2)
- ნეტგაზეთი (4)
- ინტერპრესნიუსი (4)
- რადიო თავისუფლება (3)
- ტაბულა (9)
- სხვა (16)


5. რომელ ტელევიზიებსა და ინტერნეტგამოცემებში შეინიშნებოდა სიღრმისეული გაშუქება ყარაბაღის კონფლიქტზე? (პოლიტოლოგების, ექსპერტების და საგარეო ურთიერთობების სპეციალისტების მონაწილეობით.) (94)



პასუხები

- რუსთავი 2 (36)
- იმედი (23)
- საზოგადოებრივი მაუწყებელი (14)
- სხვა (12)
- რადიო თავისუფლება (9)
- ინტერპრესნიუსი (7)
- ტაბულა (6)
- მაესტრო (5)
- ნეტგაზეთი (4)
- ლიბერალი (1)


6. რომელი ტელევიზიის სიუჟეტი/რეპორტაჟი დაგამახსოვრდათ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე? (87)




პასუხები

- რუსთავი 2 (48)
- იმედი (24)
- საზოგადოებრივი მაუწყებელი (13)
- სხვა (6)
- მაესტრო (5)

7. რომელი ინტერნეტგამოცემის პუბლიკაცია დაგამახსოვრდათ ყარაბაღის კონფლიქტზე? (80)




8. რომელ ტელევიზიებში და ინტერნეტგამოცემებში ჩანდნენ კონფლიქტში დაზარალებული ადამიანები? (80)



პასუხები

- რუსთავი 2 (48)
- იმედი (26)
- საზოგადოებრივი მაუწყებელი (14)
- მაესტრო (8)
- სხვა (8)
- ტაბულა (5)
- რადიო თავისუფლება (4)
- ნეტგაზეთი (3)
- ინტერპრესნიუსი (2)
- ლიბერალი (1)

9. თუ დაგამახსოვრდათ, რომელ ტელევიზიას/ინტერნეტგამოცემას ჰყავდა რეპორტიორი უშუალოდ კონფლიქტის ზონაში? (74)



10. რა კითხვები გრჩებათ პასუხგაუცემელი ტელევიზიებიდან და ინტერნეტგამოცემებიდან ყარაბაღში მიმდინარე კონფლიქტზე? (7)

1. , . ' ? .

2. ? ?

3. ?

4. .

5. ? ,

6. ? ' ?

7. ? ? - ? ?

სომეხი და აზერბაიჯანული სტუდენტები

ნარგიზ პოლოსიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტია. როგორც ნარგიზი ამბობს, მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებზე ძირითადად სომხური და აზერბაიჯანული ტელევიზიებიდან/ინტერნეტგამოცემებიდან იღებდა ინფორმაციას. მისი თქმით, ის ასევე ეცნობოდა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას რუსულ ენაზე. ნარგიზი ამბობს, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე ობიექტური გაშუქება ვერცერთ მედია საშუალებაში შენიშნა.



ნარგიზ პოლოსიანი, სტუდენტი



ჯეიხუნ ნარბალოვი, სტუდენტი

ჯეიხუნ ნარბალოვი ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტია. ის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ტელეკომპანია რუსთავი 2-დან და საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსიდან იღებდა. როგორც ჯეიხუნი ამბობს, რუსთავი 2 ყველაზე ვრცლად აშუქებდა ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებს. ჯეიხუნს მთიან ყარაბაღში განახლებულ კონფლიქტზე ყველაზე მეტად Ipress-ის პუბლიკაცია მოეწონა.

ინტერვიუ მედია-ექსპერტ ზვიად ქორიძესთან

თქვენი შეფასებით, როგორ აშუქებდა ქართული ტელევიზიები და ინტერნეტგამოცემები აპრილში განახლებულ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს?

შემიძლია გითხრა, რომ გაზეთები აშუქებდნენ ძალიან ზედაპირულად. პრაქტიკულად, არც ერთ გაზეთში, ბეჭდურ მედიაში არ მინახავს სამამულო წარმოების პროდუქცია, როდესაც ჟურნალისტები ჩადიოდნენ უშუალოდ კონფლიქტის ზონაში. მე მინახავს ეს რამდენიმე ინტერნეტპორტალზე, მაგრამ იქაც გამოყენებული იყო ადგილობრივი რესურსები, მათ შორის ნეგაგაზეთზეც. მათ არ ჰყავდათ საქართველოდან მივლენილი ჟურნალისტები, რისი საშუალებაც თავის თავს მისცეს სატელევიზიო არხებმა, რომლებიც მხოლოდ იმით გამოირჩეოდნენ. სიღრმისეული კვლევა არ ჩამიტარებია, თუმცა მე რასაც ვაკვირდებოდი, ძირითადად, მაინც, სომხეთიდან ხდებოდა ინფორმაციის მიღება.

- **რომელიმე ქართული მედია საშუალების გაშუქებულ ამბებში შეამჩნიეთ თუ არა მიკერძოებული გაშუქება კონფლიქტში მონაწილე ერთი მხარის მიმართ?**

არა. მიკერძოებულობას დიდად ვერ ვხედავდი. ალბათ, ეს არის ის შემთხვევა, როდესაც, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები უშუალოდ სამხედრო მოქმედებების არეალთან ვერ მოხვდებოდნენ. ძალიან მცირე იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჟურნალისტები წასულიყვნენ როგორც ამერბაიჯანში, ასევე სომხეთში. მათ ორივე მხრიდან უნდა მოეპოვებინათ ინფორმაცია, იმიტომ, რომ გაშუქებულიყო ამ კონფლიქტის ხანმოკლე გაცოცხლების მთელი პრობლემატიკა. სულ რაღაც 3 დღიანი იყო ეს კონფლიქტი და კარგია, რომ ის დროებით რომ შეჩერდა. იმედი მაქვს, პოლიტიკურ მოლაპარაკებებში გადაიზრდება პროცესები. ამ დროს საერთაშორისო მედიისთვისაც პრობლემატური იყო ინფორმაციის მოძიება და დაზუსტება იმიტომ, რომ ძალიან კონგრავერსული იყო ინფორმაცია.

- **რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორი სოციალურ ქსელში [წერს](#), რომ საქართველოს სახელმწიფო უნდა იყოს ამერბაიჯანის მხარეს, რადგან ის ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა. რამდენად სწორია გელეკომპანიის დირექტორის მხრიდან საჯაროდ ასეთი განცხადებების გაკეთება და განსაზღვრავს თუ არა ის არხის სარედაქციო პოლიტიკას?**

როდესაც ამას არხის დირექტორი ამბობს, ეს არის ცალსახად გამოსატყუარი პოლიტიკური პოზიცია და თუ ის ამას ასეთივე წარმატებით უხსნის თავის ჟურნალისტებს, ბუნებრივია, ის ხომ სარედაქციო პოლიტიკის განმსაზღვრელია. ეს ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტებმა ეს პოლიტიკა უნდა განახორციელონ. მოლით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს არის პოლიტიკური დღის წესრიგი, თუ ვინ ვის მხარეს დაიჭერს და არა ჟურნალისტური დღის წესრიგი. ჩვენ თუ ამ დღის წესრიგს მივყვებით, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ გელეკომპანიის ჟურნალისტებისთვის იქნება პრაქტიკულად მიუწვდომელი სომხური

წყაროები, იქნება მიუწვდომელი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს მეორე მხარის საპირწონე.

როდესაც ასეთ განცხადებას აკეთებს საგელევიზიო არხის ხელმძღვანელი, ეს არის სამოქმედო გეგმა ჟურნალისტიკისთვის. მე მიმაჩნია, რომ ეს არ არის გამართლებული ფორმა. ეს არის ცუდი ფორმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტიკებს წინასწარ გამზადებული სცენარები უნდა ჰქონდეთ, თუ როგორ უნდა გააშუქონ მათ ესა თუ ის მოვლენა და რა მიაწოდონ აუდიტორიას, მაყურებელს დაბალანსებული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ჩვენ განვსაზღვროთ პირველი რიგის ამოცანა, რამდენად ზუსტად მივაწვდით ინფორმაციას მაყურებელს, რა ხდება ამ რეგიონში. მეორე საკითხია, თუ ვესაუბრებით იმაზე, რომ ამერბაიჯანი არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი. რაკი სომხეთი არ არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და დღეს ის იმყოფება სამხედრო პოლიტიკურ ალიანსში რუსეთთან, რამდენად სწორი იქნება დავუშვათ საქართველოს პოზიცია სომხეთთან ანგაგონისგური დამოკიდებულება ამ დროს და ეთერში ვიძახოთ, ახია თქვენზე იმის გამო, რომ სომხეთი არის რუსეთის მოკავშირე.

რამდენად სწორი იქნება ის, რომ საქართველოს მეზობლად დღეს შეიძლება ჩვენ მივიღოთ ფართომასშტაბიანი სამხედრო თეატრი. ეს ძალიან რთული სამოქმედო გეგმაა. მე მაინც მგონია, რომ თუ ამას პოლიტიკოსები გამოიგანენ მთავრობის დღის წესრიგად, აქ შეიძლება ვიკამათოთ და ვისაუბროთ, მაგრამ ეს ჟურნალისტიკების გასაკეთებელი არ არის. მეღია ამას არ უნდა ადგენდეს, რადგან ეს არის მთავრობის ამოცანა. ჩვენ რატომღაც ისე გავიგეთ, რომ სარედაქციო პოლიტიკა პოლიტიკური განაცხადების კეთებას ნიშნავს. პოლიტიკური განაცხადები არ არის ჩვენი საქმე. ჩვენი საქმე და მოვალეობა არის ის, რომ დღეს საქართველოს საზოგადოება გვყავდეს მაქსიმალურად ინფორმირებული, თუ რეალურად რა მოხდა კონფლიქტის მონაში. მეტიც, იმ კონტექსტში კი არ უნდა ვიმსჯელოთ, რომ სომხეთია უარესი და ამერბაიჯანი უკეთესი, არამედ ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამ გამოიწვია 2016 წლის აპრილში ესკალაცია ამ კონფლიქტის; რა იყო ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რამაც თავის დროზე ჩიხში შეიყვანა მოლაპარაკების პროცესი, რომელიც ახალ სტადიაზე იყო გადასული ციურიხის შეთანხმების დროს, მაგრამ მერე რატომღაც ეს შეწყდა. უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა რესურსები არსებობს რეგიონში ამ კონფლიქტის ერთხელ და სამუდამოდ, ომის გარეშე მოსაგვარებლად და არის თუ არა ამის რესურსები.



ზვიად ქორიძე, ქურნალისტი

თუ მასეთ პოლიტიკურ განაცხადებზე ვისაუბრებთ, მიმაჩნია, რომ საქართველოს პოლიტიკური განაცხადი ეს უნდა იყოს და არა ის, რომ ვიღაცა ვიღაცაზე უკეთესია. რა თქმა უნდა, საქართველო, როგორც სახელმწიფო, უნდა ფიქრობდეს მისთვის სასურველ შედეგზე. თუმცა, პირდაპირ ვთქვათ, მისთვის სასურველი შედეგი აუცილებელი წესით არ იქნება ყარაბაღის კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის გამარჯვება. შეიძლება საქართველოსთვის სასურველი შედეგი იყოს ის ის, თუ როგორ გეგმამომიერად მოხდება ამ კონფლიქტის გადაწყვეტა. თუ ეს ფორმულა აქვს, მაგალითად, ბაგონ გვარამიას ან ნებისმიერ სხვა ადამიანს, ვინც დღეს მედიაში საქმიანობს, მაშინ პირდაპირ დავსვით ესე საკითხი - როდესაც კრიტიკული სიგუაცია იყო საქართველო-რუსეთის ომის დროს, მაშინ სწორედაც ყველა სახელმწიფომ, მათ შორის, სომხეთმაც და აზერბაიჯანმაც ძალიან მკაფიო და სწორი პოზიცია დაიკავეს. ეს პოზიცია დაიკავეს მათი რაციონალური ინტერესიდან გამომდინარე და ჩვენი რაციონალური ინტერესიდან გამომდინარე, სწორი პოლიტიკა აწარმოეს. ვიღაცას მიმაჩნია, რომ რომელიმე მხარემ გადაამლაშა, უფრო მეტი მოუვიდა და ა.შ. ძალიან ხშირად მესმოდა რიტორიკა მაშინაც და ახლაც, რომ ყველა თავისას ცდილობს. ბუნებრივია, ყველა თავისას ცდილობს, მაგრამ არა სხვების ხარჯზე. ჩვენ ამ რაკურში შეგვიძლია შევხედოთ ყარაბაღის კონფლიქტის გაშუქებასაც.

მე არ მომწონს ასეთი პოლიტიკა და ასეთი სარედაქციო პოლიტიკა. მიმაჩნია, რომ ის არის წამგებიანი მედიის განვითარებისა და საკუთარი მოქალაქეების ინფორმირებულობის თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, რომ სომხების ან ამერბაიჯანის მოქალაქეების ინფორმაციის წყაროდ ამ პერიოდში რუსთავი 2, იმედი ან პირველი არხი საქარველოში არ გამოდგომიან. მათი ინფორმაცია სჭირდება საქართველოს მოქალაქეებს. რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკა, რომ ამერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და აუცილებლად უნდა დავეხმაროთ მას, ძალიან ცუდი გზავნილი იქნება საქართველოში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოქალაქეებისთვის. ისინი ამას არასწორად აღიქვამენ, იმიტომ, რომ მათ გარკვეული მაილენგიფიცირებული კავშირი აქვთ სომხეთთან. ეს არავითარ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ ისინი სომხეთის მოქალაქეებად აღიქვამენ თავს. მათ აქვთ გარკვეული ბმა სომხეთთან, ამიტომ სახიფათო გენდენცია იქნება, თუ ასე შეხედავს ქართული მედია ამ პრობლემას.

- **აშუქებდა თუ არა ქართული მედია ყარაბაღის კონფლიქტს სწორი გერმინოლოგიით? რამდენად შეესაბამებოდა მათ მიერ მომზადებული ახალი ამბები მშვიდობის ჟურნალისტიკას?**

ამ შემთხვევაში ქართული მედიის ფუნქცია არ იყო მშვიდობის ჟურნალისტიკის განვითარება. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ქართული მედიის პრობლემა იყო ჩვენი საზოგადოების ინფორმირება - რამდენად სწორად და ადეკვატურად ახერხებს მედია ქართველი მაყურებლის ინფორმირებას. როგორც წესი, მშვიდობის ჟურნალისტიკა ვითარდება და თანხმდება, როდესაც კონკრეტულ სოციუმში გიწევს მაუწყებლობა და იმ გარკვეულ სოციუმზე ბემოქმედების მოხდენა. ეს ამოცანა არ მესახებოდა ახლა. რა თქმა უნდა, ამ დროს აუცილებელი იყო გარკვეული კორექტულობის დაცვა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ - მედიას არ უნდა დაეკავებინა არცერთის მხარე; ზუსტად უნდა მოეთხროთ ფაქტები, მათ შორის, ის, თუ როგორ დაიწყო კონფლიქტი და რა უძღვოდა წინ. შეიძლება, ეს ერთი ან რომელიმე მხარისთვის ყოფილყო მიუღებელი, მაგრამ მიუკერძოებლობის ჟურნალისტიკის პრინციპი ეს არის - ყველაფერი მოყვეს ზუსტად ისე, როგორც იყო და არა ისე, როგორც წყაროს სურს ამის მოყოლა.

- **რა დაგაკლდათ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაშუქებაში ქართული ინტერნეტგამოცემებიდან და ტელევიზიებიდან?**

დამაკლდა ის, რომ დამთავრდა საომარი მოქმედებები და ყარაბაღი ისევ დაავიწყდა ქართულ მედიას, აღარ აინტერესებს. მიმაჩნია, რომ პერმანენტულად უნდა გაშუქდეს ეს თემა ყოველ თვე. თვეში ორჯერ მაინც უნდა მომზადდეს რეპორტაჟები მთიან ყარაბაღში, სომხეთში, ამერბაიჯანში და ამ

კონფლიქტის გარშემო მიმდინარე საერთაშორისო პროცესებზე. მაგალითად, საერთოდ არ არსებობს ქართული რესურსები, სადაც ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ რაზე მუშაობს მინსკის ჯგუფი და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს; რა არის მადრიდის პრინციპები და ა.შ. ყველაფერი არ ვიცით არავითარი იმიტომ, რომ ქართული მედია ამ პრობლემატიკით ნაკლებად არის დაინტერესებული. ჩვენ შეიძლება შევხვედეთ მოლაპარაკების ფორმატშიც კი არ ვიცოდეთ გარკვეული დოკუმენტები, უბრალოდ, იმიტომ, რომ მედია ამას ყოველთვის არ აწვდის აუდიტორიას.

- **რა არის იმისთვის აუცილებელი რომ განვითარდეს ქართული მედია და კონფლიქტები უფრო აღეკვებურად გააშუქდეს?**

მედიამ უნდა გაანებოს თავი პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებას. მედიამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ ის არის ერისა და კაცობრიობის გადამრჩენი. მედია არის ადამიანების ინფორმაციის და მან უნდა მიაწოდოს მოქალაქეებს სრულყოფილი ინფორმაცია. ეს არის მთავარი ამოცანა. რა თქმა უნდა, ეს არ გადის მხოლოდ ყარაბაღის თემაზე არ გადის, არამედ სხვა თემებზეც. მიუხედავად ამისა, ქართულ მედიას ეს პრობლემა მუდმივად აწუხებს. საქართველოში ყველა მედიაშენიშვადი და ჟურნალისტი საკუთარ თავს აღიქვამს, როგორც ქვეყნის დამცველს და ერის გადამრჩენს. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არ არის მედიის ფუნქცია. რა თქმა უნდა, ცალკე აღებული ადამიანის ფუნქცია შეიძლება იყოს ქვეყნის დაცვა, მაგრამ ეს არ არის ჟურნალისტის ფუნქცია. ჟურნალისტის ფუნქციაა მოქალაქეების ინფორმირებულობა. სამოგადოება ძალიან აღეკვებურად და მუსგად გამოიგანს დასკვნებს იმის შესახებ, თუ რა უჭირს ჩვენს მოქალაქეებს ყველაზე მეტად. ამ დასკვნების გამოგანისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხი.

დასკვნა

- **გეგმვები**

მთიანი ყარაბაღში მიმდინარე პროცესებს ქართული გეგმვები ძირითადად სხვადასხვა ინტერპრეტაციებით აშუქებდნენ. მათ მიერ მომზადებულ სიუჟეტებში ჩანდნენ რესპონდენტები კონფლიქტში მონაწილე ორივე მხრიდან.

რუსთავი 2-ს და გეგმვებს ჰყავდათ რეპორტიორები უშუალოდ კონფლიქტის ზონაში. რუსთავი 2-ს განსხვავებით, იმედს 2 აპრილიდან 5 აპრილამდე ჟურნალისტი არ ჰყოლია აზერბაიჯანისა და

სომხეთის გერიტორიაზე. რუსთავი 2-ის მიერ მომზადებულ ახალ ამბებში შეიმჩნეოდა აზერბაიჯანული მხარის მიმართ პოზიტიური გაშუქება.

სამოგალოებრივი მაუწყებელი განსხვავებით მთიან ყარაბაღში მიმდინარე პროცესებს ყველაზე ნეიტრალურად აშუქებდა, თუმცა 6 აპრილს, მაშინ, როდესაც კონფლიქტის ზონაში სრულები განახლდა განახლდა, მოამბემ მე-12 სიუჟეტად გაუშვა მთიან ყარაბაღის ამბავი, ხოლო წამყვანის ტექსტი არ ასახავდა რეალობას.

ერთადერთი, რაც მაესტროს სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებდა, იყო “ამერიკის ხმის” ჟურნალისტიკის მიერ მომზადებული ინტერვიუ ამერიკელ ექსპერტთან, რომელიც ლეტალურად განიხილავდა ყარაბაღის კონფლიქტს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენ მიერ გამოკითხული ადამიანების 94,5%-ს აინტერესებს ყარაბაღში მიმდინარე კონფლიქტი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ადამიანები ობიექტურ, დროულ და დაბალანსებულ ინფორმაციას ყველაზე მეტად რუსთავი 2-სგან (47ხმა) იღებენ. კურიერის მერე, მაყურებელი ყველაზე მეტად ენდობა ტელეიმედს (22 ხმა). შემდეგია სამოგალოებრივი მაუწყებელი (16 ხმა), ხოლო ყველაზე დაბალი შეფასება ტელეკომპანია მაესტრომ მიიღო (10 ხმა).

● ინტერნეტგამოცემები

ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ ყველაზე ობიექტურად ახალი ამბებს აშუქებდნენ რადიო თავისუფლება და ნეტგაზეთი. ეს გამოცემები მასალებს აქვეყნებდნენ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის მიერ გაკეთებული განცხადებების მიხედვით და ინფორმაციის წყაროდ ხშირად იყენებდნენ როგორც სომხურ, ისე აზერბაიჯანულ მედია საშუალებებს. აღსანიშნავია, რომ ნეტგაზეთს ჟურნალისტიკები ჰყავს სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ნეტგაზეთისა და რადიო თავისუფლებისგან განსხვავებით, ინტერპრესნიუსი ინფორმაციის წყაროდ რუსულ გამოცემებსაც იყენებდა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ინტენსიურად სწორედ ეს საინფორმაციო სააგენტო წერდა ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ.

ტაბულა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ მასალებს ინტენსიურად აქვეყნებდა, თუმცა ხშირ შემთხვევაში გამოცემა მხოლოდ აზერბაიჯანულ წყაროებზე დაყრდნობით ამზადებდა ახალ ამბებს. ტაბულას მასალებში შეიმჩნეოდა დადებითი გაშუქება აზერბაიჯანის მიმართ.

ყველაზე ცოცხალი მასალა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ ლიბერალზე გამოქვეყნდა. კონფლიქტის განახლების შესახებ ინფორმაცია გამოცემას საერთოდ არ გაუშუქებია.

გამოკითხულთა ამრით, მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებს ყველაზე ობიექტურად რადიო თავისუფლება აშუქებდა. რადიო თავისუფლება (12), ინტერპრესნიუსი (7), ნეტგაზეთი (7), ტაბულა (4), ლიბერალი (1).

გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ყარაბაღის კონფლიქტს მედია საშუალებები იშვიათად აშუქებენ. იშვიათად (62) ხშირად (26) არ მაქვს პასუხი (4)

ზვიად ქორიძის შეფასებით, ქართულმა მედიამ სროლის შეწყვეტისთანავე დაივიწყა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. მედიაექსპერტის აზრით, ყარაბაღის კონფლიქტი გაცილებით ინტენსიურად უნდა შექცდებოდა ქართულ მედიაში - უფრო ხშირად უნდა მომზადდეს რეპოსრტაჟები და სიუჟეტები.

წყაროები:

[BBC](#)

UNITED NATIONS